



2023 წ.

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2023 წ.



## 2023 წლის იანვარში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **1,592.2 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 7.3%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 33.6%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 93.5%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **1,497.4 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 6.8%-ს, ხოლო 3 თვის გეგმის 31.0%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 82.1%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **94.9 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 თებერვლისთვის ნაშთი **1,342.4 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარში შემოსულობების შესრულება შეადგენს 1,592.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 7.3%) და წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 116.2 მლნ ლარით (6.8%-ით) ჩამორჩება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 1,497.4 მლნ ლარს (წლიური გეგმის 6.8%) და 145.7 მლნ ლარით (10.8%-ით) მეტია წინა წლის იანვარის მარჯვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 1 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 1 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 1 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 4,733.3 მლნ ლარით, ხოლო 1 თვის შესრულება მის 33.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება შემოსავლები - 37.5%, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება მაღალი დონით გამოირჩევა (79.0%). არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 0.4%-ია, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტის შესრულება -101.8 მლნ ლარს შეადგენს (საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით წმინდა შემოსულობების 136.8 მლნ ლარით შემცირების გავლენით).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 4,835.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 31.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 31.0%-ს უტოლდება. შესრულების კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება, ასევე, ვალდებულებების კლებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები და შესაბამისად, 3 თვის გეგმის 35.8%-ს და 28.4%-ს შეადგენს, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი კი შესრულების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა - 3 თვის გეგმის 20.2%.


<sup>1</sup> „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე/3 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე/3 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	4,733.3	1,592.2	33.6%	გადასახდელები	21,880.1	4,835.7	1,497.4	31.0%
შემოსავლები	17,619.9	4,335.8	1,625.6	37.5%	ხარჯები	16,335.2	3,964.4	1,229.9	31.0%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	28.0	0.1	0.4%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	515.4	146.3	28.4%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	86.5	68.3	79.0%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	40.9	8.3	20.2%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	283.0	-101.8	-36.0%	ვალდებულებების კლება	1,218.5	315.1	112.8	35.8%

ცხრილი 1: 2023 წლის 1 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო<sup>2</sup> 1 თვეში შეადგინა 395.7 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - 249.4 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 1 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 1 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 1 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.6 მლნ ლარი. იანვარში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 94.9 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 თებერვლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,342.4 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 1,592.2 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლების (1,625.6 მლნ ლარი) ხარჯზე, რომელიც (როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე წილობრივად მთლიან შემოსულობებში) 2021-2022 წლებთან შედარებით მომატებულია, ძირითადად გადასახადების ზრდის გავლენით. ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულ იქნა 68.3 მლნ ლარი, რაც მთლიანი შემოსულობების 4.3%-ს




შეადგენს და მნიშვნელოვნად აჭარბებს წინა წლების მაჩვენებლებს (2022 წელს აღნიშნული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში შეადგენდა 1.0%-ს, ხოლო 2021 წელს 1.6%-ს). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 0.01%-ს შეადგენს. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელს, აღნიშნული კომპონენტი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია და -101.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც დაკავშირებულია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების კლებასთან.

**შემოსავლების** სახით იანვარში მიღებულია 1,625.6 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 37.5% და წლიური გეგმის 9.2%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 317.4 მლნ ლარით (24.3%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტების, ასევე, სხვა შემოსვლების მაჩვენებლები, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 1,488.1 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 36.3%-ს და წლიური გეგმის 9.1%-ს შეადგენს, რაც ძირითადად უკავშირდება საშემოსავლო გადასახადის, დღგ-სა და აქციზის მობილიზების შედარებით მაღალ მაჩვენებლებს (3 თვის გეგმის, შესაბამისად, 45.2%, 39.2% და 46.0%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 368.2 მლნ ლარით (32.9%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 25.4%-იანი და 23.8%-იანი ზრდით.

საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 91.9 მლნ ლარით (22.1%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 580.2 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 111.4 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 78.1 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან 33.3 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 23.1%-ით (28.7 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციიდან შემოსავლის 19.1 მლნ ლარით ზრდის შედეგად (ერთი მხრივ, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის 27.2 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის დაბეგვრიდან აქციზის 8.1 მლნ ლარით შემცირების გავლენით).



დიაგრამა 4: 2022-2023 წწ. 1 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მაჩვენებელი (63.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 73.1%-ს და წლიური გეგმის 22.9%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით იანვარში ბიუჯეტში მიღებულია 3 თვის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 104.6% (60.0 მლნ ლარი). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 0.6 მლნ ლარის ოდენობით და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი - 0.1 მლნ ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 3.1 მლნ ლარის ოდენობით.

**სხვა შემოსავლების** სახით იანვარში ბიუჯეტში მობილიზებულია 73.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 49.4% და წლიური გეგმის 7.0%. ძირითადი შემოსავალი (58.0%) მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტის სახით, 41.8 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (22.8%, 16.8 მლნ ლარის ოდენობით).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით იანვარში მიღებული შემოსულობები (0.1 მლნ ლარი) მცირეა და 3 თვის გეგმის 0.4%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობები მთლიანად მიღებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობების სახით (კერძოდ, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) იანვარში უკვე მიღებულია 68.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 79.0% (წლიური გეგმის 15.2%), რაც წინა წლის მაჩვენებელს 50.5 მლნ ლარით აღემატება.

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობები მაჩვენებელი -101.8 მლნ ლარს შეადგენს, ერთი მხრივ, საგარეო ვალდებულებების 35.0 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების შემცირების შედეგად. კერძოდ: საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები შემოვიდა ძირითადად საინვესტიციო კრედიტების სახით, 35.0 მლნ ლარის ოდენობით (3 თვის გეგმის 16.0%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით მიღებულია 0.1 მლნ ლარი (თუმცა 3 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>-101.8</b>	<b>-36.0%</b>	<b>-2.8%</b>
<b>საგარეო</b>	<b>35.0</b>	<b>16.1%</b>	<b>1.6%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	0.1		0.01%
საინვესტიციო კრედიტები	35.0	16.0%	1.9%
<b>საშინაო</b>	<b>-136.8</b>	<b>-210.5%</b>	<b>-9.8%</b>


ცხრილი 2 : 2023 წლის 1 თვეში ვალდებულების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ -136.8 მლნ ლარი შეადგინა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 1,497.4 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.1%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის იანვარში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 79.1%-ს, ხოლო 2022 წლის იანვარში - 79.5%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3

2021-2023 წწ. 1 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 5: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარში (მლნ ლარი)

კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 9.8% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.6% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 7.5%. 2022 წლის იანვარში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 13.1%-ის, 0.03%-ის და 7.4%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის იანვარში - 11.0%-ის, 0.6%-ის და 9.3%-ის ოდენობებით.

**ხარჯების** შესრულებამ იანვარში შეადგინა 1,229.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 31.0% და წლიური გეგმის 7.5%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 155.7 მლნ ლარით (14.5%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა და სუბსიდიებისა, რომლებიც შემცირებულია შესაბამისად 18.2 მლნ ლარით და 8.7 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის პროცენტის (112.5 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (63.8%), სხვა ხარჯების (31.2%), სოციალური უზრუნველყოფის (31.1%), შრომის ანაზღაურებისა (28.5%) და გრანტების (28.1%) მუხლები. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურებისა (21.5%) და სუბსიდიების (14.4%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (205.4 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიშრთა 167.7 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 37.6 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (485.6 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (398.2 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (41.6 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (36.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 6: 2022-2023 წწ. 1 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (146.3 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 28.4%-ს და წლიური გეგმის 3.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (70.0 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (17.0 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (7.6 მლნ ლარი) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (16.1 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (8.3 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 20.2%-ს და წლიური გეგმის 1.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები სრულად მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხზე 8.3 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის შესრულება (112.8 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 35.8%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით 9.3%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 110.2 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>112.8</b>	<b>35.8%</b>	<b>9.3%</b>
საგარეო	110.2	36.5%	9.4%
საშინაო	2.6	20.4%	6.1%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 1 თვეში (მლნ ლარი, %)


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების იანვრის შესრულება მოიცავს **დამატებით 2 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 315.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 49.7% და წლიური გეგმის 13.1%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 35.1 მლნ ლარი, საიდანაც 1.6 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 31.8 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.7 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 36.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 2.4 მლნ ლარის, 1.5 მლნ ლარის და 0.1 მლნ ლარის ათვისება.

იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>4</sup> მიხედვით შეადგინა 1,376.3 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 30.7% და წლიური გეგმის 6.8%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 7: 2023 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

## გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>4</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 1 თვის შესრულება	2022 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა*	2023 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 1 თვის შესრულება / 2022 წლის 1 თვის შესრულება		2023 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>1,182.5</b>	<b>1,708.4</b>	<b>21,914.2</b>	<b>4,733.3</b>	<b>1,592.2</b>	<b>-3,141.1</b>	<b>33.6%</b>	<b>-116.2</b>	<b>-6.8%</b>	<b>7.3%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>1,066.9</b>	<b>1,308.2</b>	<b>17,619.9</b>	<b>4,335.8</b>	<b>1,625.6</b>	<b>-2,710.2</b>	<b>37.5%</b>	<b>317.4</b>	<b>24.3%</b>	<b>9.2%</b>
გადასახადები	834.6	1,119.9	16,290.4	4,099.3	1,488.1	-2,611.2	36.3%	368.2	32.9%	9.1%
საშემოსავლო გადასახადი	319.2	455.9	5,140.0	1,266.0	571.8	-694.2	45.2%	115.9	25.4%	11.1%
მოგების გადასახადი	96.2	154.7	2,000.0	695.0	113.0	-582.0	16.3%	-41.6	-26.9%	5.7%
დღგ	293.8	468.7	6,670.4	1,478.3	580.2	-898.1	39.2%	111.4	23.8%	8.7%
აქციზი	81.9	124.4	2,100.0	333.0	153.1	-179.9	46.0%	28.7	23.1%	7.3%
იმპორტის გადასახადი	4.4	7.4	130.0	25.0	9.8	-15.2	39.2%	2.4	31.7%	7.5%
სხვა გადასახადები	39.2	-91.2	250.0	302.0	60.2	-241.8	19.9%	151.4	-166.0%	24.1%
გრანტები	168.8	125.7	279.6	87.4	63.9	-23.5	73.1%	-61.8	-49.2%	22.9%
სხვა შემოსავლები	63.5	62.6	1,050.0	149.1	73.6	-75.5	49.4%	11.0	17.6%	7.0%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>0.4</b>	<b>0.003</b>	<b>200.0</b>	<b>28.0</b>	<b>0.1</b>	<b>-27.9</b>	<b>0.4%</b>	<b>0.1</b>	<b>3253.4%</b>	<b>0.1%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	<b>18.8</b>	<b>17.8</b>	<b>450.0</b>	<b>86.5</b>	<b>68.3</b>	<b>-18.2</b>	<b>79.0%</b>	<b>50.5</b>	<b>282.9%</b>	<b>15.2%</b>
ვალდებულებების ზრდა	<b>96.5</b>	<b>382.4</b>	<b>3,644.3</b>	<b>283.0</b>	<b>-101.8</b>	<b>-384.8</b>	<b>-36.0%</b>	<b>-484.2</b>	<b>-126.6%</b>	<b>-2.8%</b>
საგარეო	398.6	177.8	2,244.3	218.0	35.0	-183.0	16.1%	-142.8	-80.3%	1.6%
საშინაო	-302.2	204.6	1,400.0	65.0	-136.8	-201.8	-210.5%	-341.4	-166.9%	-9.8%
<b>გადასახდელები</b>	<b>1,280.8</b>	<b>1,351.7</b>	<b>21,880.1</b>	<b>4,835.7</b>	<b>1,497.4</b>	<b>-3,338.3</b>	<b>31.0%</b>	<b>145.7</b>	<b>10.8%</b>	<b>6.8%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>1,013.1</b>	<b>1,074.3</b>	<b>16,335.2</b>	<b>3,964.4</b>	<b>1,229.9</b>	<b>-2,734.4</b>	<b>31.0%</b>	<b>155.7</b>	<b>14.5%</b>	<b>7.5%</b>
შრომის ანაზღაურება	136.6	143.0	2,236.7	556.3	158.5	-397.9	28.5%	15.5	10.8%	7.1%
საქონელი და მომსახურება	94.1	100.8	2,025.5	508.8	109.5	-399.2	21.5%	8.7	8.6%	5.4%
პროცენტი	100.5	92.9	1,201.0	322.2	205.4	-116.8	63.8%	112.5	121.1%	17.1%
სუბსიდიები	52.6	41.2	927.6	226.3	32.5	-193.8	14.4%	-8.7	-21.1%	3.5%
გრანტები	38.7	44.6	1,275.8	256.5	72.1	-184.4	28.1%	27.6	61.9%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	436.8	467.2	6,447.9	1,560.4	485.6	-1,074.8	31.1%	18.4	3.9%	7.5%
სხვა ხარჯები	153.7	184.6	2,220.7	533.9	166.3	-367.6	31.2%	-18.2	-9.9%	7.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>141.2</b>	<b>177.6</b>	<b>3,881.3</b>	<b>515.4</b>	<b>146.3</b>	<b>-369.0</b>	<b>28.4%</b>	<b>-31.3</b>	<b>-17.6%</b>	<b>3.8%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	<b>7.5</b>	<b>0.4</b>	<b>445.1</b>	<b>40.9</b>	<b>8.3</b>	<b>-32.6</b>	<b>20.2%</b>	<b>7.9</b>	<b>2,007.3%</b>	<b>1.9%</b>
ვალდებულებების კლება	<b>118.9</b>	<b>99.4</b>	<b>1,218.5</b>	<b>315.1</b>	<b>112.8</b>	<b>-202.3</b>	<b>35.8%</b>	<b>13.4</b>	<b>13.4%</b>	<b>9.3%</b>
საგარეო	97.3	96.6	1,175.6	302.2	110.2	-192.0	36.5%	13.6	14.1%	9.4%
საშინაო	21.7	2.9	42.9	12.9	2.6	-10.3	20.4%	-0.2	-7.8%	6.1%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)</b>	<b>-98.2</b>	<b>356.7</b>	<b>34.1</b>	<b>-102.4</b>	<b>94.9</b>	<b>197.3</b>		<b>-261.9</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №437)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 1 თვის შესრულება	2022 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება / 2023 წლის 3 თვის გეგმა		2023 წლის 1 თვის შესრულება / 2022 წლის 1 თვის შესრულება		2023 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>1,066.9</b>	<b>1,308.2</b>	<b>17,619.9</b>	<b>4,335.8</b>	<b>1,625.6</b>	<b>-2,710.2</b>	<b>37.5%</b>	<b>317.4</b>	<b>24.3%</b>	<b>9.2%</b>
გადასახადები	834.6	1,119.9	16,290.4	4,099.3	1,488.1	-2,611.2	36.3%	368.2	32.9%	9.1%
გრანტები	168.8	125.7	279.6	87.4	63.9	-23.5	73.1%	-61.8	-49.2%	22.9%
სხვა შემოსავლები	63.5	62.6	1,050.0	149.1	73.6	-75.5	49.4%	11.0	17.6%	7.0%
<b>ხარჯები</b>	<b>1,013.1</b>	<b>1,074.3</b>	<b>16,335.2</b>	<b>3,964.4</b>	<b>1,229.9</b>	<b>-2,734.4</b>	<b>31.0%</b>	<b>155.7</b>	<b>14.5%</b>	<b>7.5%</b>
შრომის ანაზღაურება	136.6	143.0	2,236.7	556.3	158.5	-397.9	28.5%	15.5	10.8%	7.1%
საქონელი და მომსახურება	94.1	100.8	2,025.5	508.8	109.5	-399.2	21.5%	8.7	8.6%	5.4%
პროცენტი	100.5	92.9	1,201.0	322.2	205.4	-116.8	63.8%	112.5	121.1%	17.1%
სუბსიდიები	52.6	41.2	927.6	226.3	32.5	-193.8	14.4%	-8.7	-21.1%	3.5%
გრანტები	38.7	44.6	1,275.8	256.5	72.1	-184.4	28.1%	27.6	61.9%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	436.8	467.2	6,447.9	1,560.4	485.6	-1,074.8	31.1%	18.4	3.9%	7.5%
სხვა ხარჯები	153.7	184.6	2,220.7	533.9	166.3	-367.6	31.2%	-18.2	-9.9%	7.5%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>53.9</b>	<b>234.0</b>	<b>1,284.7</b>	<b>371.4</b>	<b>395.7</b>	<b>24.3</b>	<b>106.5%</b>	<b>161.7</b>	<b>69.1%</b>	<b>30.8%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>140.8</b>	<b>177.6</b>	<b>3,681.3</b>	<b>487.4</b>	<b>146.2</b>	<b>-341.1</b>	<b>30.0%</b>	<b>-31.4</b>	<b>-17.7%</b>	<b>4.0%</b>
ზრდა	141.2	177.6	3,881.3	515.4	146.3	-369.0	28.4%	-31.3	-17.6%	3.8%
კლება	0.4	0.003	200.0	28.0	0.1	-27.9	0.4%	0.1	3253.4%	0.1%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-87.0</b>	<b>56.3</b>	<b>-2,396.6</b>	<b>-115.9</b>	<b>249.4</b>	<b>365.4</b>	<b>-215.2%</b>	<b>193.1</b>	<b>342.7%</b>	<b>-10.4%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-109.4</b>	<b>339.3</b>	<b>29.2</b>	<b>-148.0</b>	<b>34.8</b>	<b>182.8</b>	<b>-23.5%</b>	<b>-304.5</b>	<b>-89.7%</b>	<b>119.2%</b>
ზრდა	7.5	357.1	479.2	40.9	103.1	62.2	252.2%	-254.0	-71.1%	21.5%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	356.7	34.1	0.0	94.9	94.9		-261.9	-73.4%	278.2%
სესხები	7.5	0.4	445.1	40.9	8.3	-32.6	20.2%	7.9	2007.3%	1.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>კლება</b>	<b>117.0</b>	<b>17.8</b>	<b>450.0</b>	<b>188.9</b>	<b>68.3</b>	<b>-120.6</b>	<b>36.2%</b>	<b>50.5</b>	<b>282.9%</b>	<b>15.2%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	98.2	0.0	0.0	102.4	0.0	-102.4	0.0%	0.0		
სესხები	18.8	17.8	450.0	86.5	68.3	-18.2	79.0%	50.5	282.9%	15.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-22.5</b>	<b>282.9</b>	<b>2,425.8</b>	<b>-32.1</b>	<b>-214.6</b>	<b>-182.5</b>	<b>668.7%</b>	<b>-497.6</b>	<b>-175.9%</b>	<b>-8.8%</b>
ზრდა	96.5	382.4	3,644.3	283.0	-101.8	-384.8	-36.0%	-484.2	-126.6%	-2.8%
საშინაო	-302.2	204.6	1,400.0	65.0	-136.8	-201.8	-210.5%	-341.4	-166.9%	-9.8%
საგარეო	398.6	177.8	2,244.3	218.0	35.0	-183.0	16.1%	-142.8	-80.3%	1.6%
<b>კლება</b>	<b>118.9</b>	<b>99.4</b>	<b>1,218.5</b>	<b>315.1</b>	<b>112.8</b>	<b>-202.3</b>	<b>35.8%</b>	<b>13.4</b>	<b>13.4%</b>	<b>9.3%</b>
საშინაო	21.7	2.9	42.9	12.9	2.6	-10.3	20.4%	-0.2	-7.8%	6.1%
საგარეო	97.3	96.6	1,175.6	302.2	110.2	-192.0	36.5%	13.6	14.1%	9.4%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	4,835.7	1,497.4	6.8%	31.0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	19.2	5.0	6.4%	26.0%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	15.7	4.1	6.4%	25.8%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	23.5	5.9	1.5	6.6%	26.1%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	2.0	0.6	7.5%	30.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	7.8	1.9	5.9%	24.6%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	7.8	1.9	6.0%	24.6%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერა ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.01	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	3.0	0.8	6.7%	26.7%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.2	0.03	5.7%	22.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.3	0.1	7.1%	27.5%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	3.2	0.4	4.1%	11.9%
03 00	საქართველოს ბიზნესობიექტების აპარატი	0.8	0.2	0.1	7.0%	28.1%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	7.4	1.9	7.9%	25.7%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	6.5	1.4	6.5%	21.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	13.4	2.4	4.3%	18.0%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	4.8	1.3	5.9%	26.5%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	0.5	0.1	5.5%	19.2%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	1.1	8.3%	33.3%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	5.0	0.0	0.0%	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	1.6	0.3	5.3%	19.8%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	4.3	1.0	6.2%	23.4%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	25.2	6.2	5.3%	24.8%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	24.5	6.2	5.4%	25.1%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	0.6	0.1	3.4%	13.5%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	2.5	0.3	4.2%	13.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორწყის, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.1	6.9%	22.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	5.4%	19.1%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	0.4	0.1	7.5%	23.3%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, სვანეთის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	7.9%	26.2%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	5.5%	17.9%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	6.3%	20.8%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.1	6.6%	23.8%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	0.6	0.1	6.0%	14.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.3	0.1	6.2%	20.8%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	46.8	12.1	6.7%	26.0%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	36.9	10.4	7.0%	28.1%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	9.3	1.7	5.5%	17.8%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	0.6	0.1	4.9%	18.7%
21 00	საქართველოს პროკურატურა	56.5	14.5	3.7	6.5%	25.1%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3.7	1.3	0.2	5.2%	14.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	106.0	27.9	5.0	4.7%	17.9%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	25.4	5.9	1.6	6.3%	27.1%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადაამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	30.2	7.4	0.02	0.1%	0.3%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	38.6	11.1	2.3	6.0%	20.9%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8.7	2.7	1.0	11.2%	35.7%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.1	0.3	0.1	8.3%	26.5%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.0	0.5	0.004	0.2%	0.9%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	558.2	127.9	17.3	3.1%	13.5%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	20.3	3.6	0.8	4.2%	23.4%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1.9	0.6	0.1	7.5%	25.8%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	0.5	0.1	8.4%	19.9%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	0.5	0.1	4.3%	17.2%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	36.0	16.0	4.0	11.2%	25.2%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	10.1	1.3	0.01	0.1%	1.0%
24 07	მენარმეობის განვითარება	267.7	56.9	1.1	0.4%	1.9%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.2	1.0	0.3	7.6%	30.6%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	263.5	55.9	0.7	0.3%	1.3%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	72.3	18.3	0.3	0.5%	1.9%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.7	0.3	0.1	12.0%	33.4%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	10.0	2.0	0.0	0.0%	0.0%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	5.5	1.8	15.1%	32.8%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 3 თვის გეგმა	2023 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 12	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB)	2.5	2.5	0.1	3.1%	3.1%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF, KfW)	4.0	1.0	0.0	0.0%	0.0%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	76.5	10.0	8.5	11.0%	84.3%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	76.5	10.0	8.5	11.0%	84.3%
24 14 01 01	500 კვ ეგს „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	13.0	3.3	7.8	60.3%	241.2%
